



„ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“

ანოტაცია - ულტრამემარჯვენე რიტორიკის მქონე მედია სუბიექტები

ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

ულტრამემარჯვენე რიტორიკის მქონე მედია საშუალებების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშში შეძლებთ გაეცნოთ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მომზადებულ იმ ონლაინ და მეინსტრიმული მედია საშუალებების მოკლე აღწერას, რომლებიც ულტრამემარჯვენე რიტორიკითა და სიმულვილის ენის ტირაჟირებით გამოირჩევიან. მათი დიდი ნაწილი ხშირად ავრცელებს პროპაგანდისტულ, ყალბ ან გადაუმოწმებელ ინფორმაციას. თვალშისაცემია მათი ანტილიბერალური და პრორუსული კურსიც. ჩვენს მიერ დახასიათებული მედია პლატფორმები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კავშირი არიან ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ აქტორებთან და წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მათ ხელში ამომრჩეველთა მობილიზებისა და საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გასავრცელებლად.

საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ხშირად არიან სხვადასხვა ციფრული და ტაბლოიდური მედიის მესაკუთრეები ან მთავარი და სასურველი რესპონდენტები. შესაბამისად, ონლაინ პლატფორმა ხელსაყრელი გარემოა მათი ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ანტილიბერალური გზავნილების გასავრცელებლად. თავის მხრივ, ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკის მქონე ულტრამემარჯვენე მედია აქტორები ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირ არიან დაკავშირებული კრემლისტურ ორგანიზაციებთან და მიზანმიმართულად ავრცელებენ პრორუსულ ინფორმაციას. ჩვენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მათი ლიდერები აქტიურად იყენებენ სოციალურ მედია პლატფორმებს მხარდამჭერთა მობილიზაციის, შეკრებების დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის. მედია გაშუქება კი ერთიორად ზრდის ულტრამემარჯვენე აქტორების საჯაროობას და მათ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ აქტივობებს მეტ ლეგიტიმაციას სძენს.

საქართველოში, ბოლო წლების ტენდენციად გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე რიტორიკის მქონე არაფორმალური ჯგუფების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის პროცესი, რაც მიუთითებს, რომ მათ შეძლეს მასობრივი კომუნიკაციის ინსტრუმენტებზე წვდომა და ამ გზით საკუთარი გზავნილების გავრცელება საზოგადოებაში. ონლაინ მედია პლატფორმებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ვალიდურობა და ხილვადობის გაზრდა. მედიის პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა, თავის მხრივ, განაპირობებს ულტრამემარჯვენე იდეების საზოგადოების ფართო წრეებში გავრცელებას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ მობილიზაციასა და კონსოლიდაციას.

ბოლო პერიოდის საგულისხმო ტენდენციაა ლიბერალური დღის წესრიგის მქონე მედია საშუალებების კრიტიკა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან. მათი აქტივობების ნეგატიურ ჭრილში გაშუქება ავტომატურად იწვევს ულტრამემარჯვენე რიტორიკაში იმ არგუმენტის განმტკიცებას, რომ მათ ზღუდავს „ლიბერალური დიქტატურა“ და ცენზურა. მიუხედავად ნეგატიური დამოკიდებულებისა, ულტრამემარჯვენე ჯგუფები მაინც აქტიურად ცდილობენ მეინსტრიმული მედიასაშუალებების ყურადღების მიპყრობას და ამ გზით საკუთარი ხილვადობის გაზრდას.

ულტრამემარჯვენე მედია პროფილები

„ობიექტივი“

მედია კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის 2 აგვისტოს [დაფუძნდა](#). გამგეობის თავმჯდომარედ საჯარო რეესტრის ამონაწერში, 2014 წლამდე ფიგურირებდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი. 2014 წლის თვითმართველობის არჩევნებისთვის, რეგისტრირებულ მედია ორგანიზაციების სიაში, ობიექტივის თავმჯდომარედ უკვე მითითებულია [ირაკლი ცილიკაშვილი](#). „ობიექტივი“ ფუნქციონირებს, როგორც ტელევიზიისა და რადიო სიხშირით, ასევე ონლაინ ფორმატში. [ტელეკომპანიის](#) და ულტრამემარჯვენე რიტორიკის მქონე პოლიტიკური პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ [ოფისები](#) ერთ მისამართზე, თბილისში, სობჩაკის ქ. N3-ში მდებარეობს.

„პატრიოტთა ალიანსისთვის“ მედია კავშირი „ობიექტივი“ წლების განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ინსტრუმენტს პარტიის პოლიტიკური გზავნილების გასავრცელებლად და ამომრჩეველთა განწყობებზე ზემოქმედებისთვის. კომპანიის სალიცენზიო დოკუმენტების თანახმად, 2013 წლის 11 ივლისს შპს მედია-სახლის „ობიექტივი“ კუთვნილი მაუწყებლობის #B62 და #B114 ლიცენზიების აიპ მედია-კავშირისთვის „ობიექტივი“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ოფიციალურად [მიმართეს](#) კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას. აღნიშნულ პერიოდში შპს მედია-სახლის „ობიექტივი“ 28.5%-ის მფლობელი ირმა ინაშვილი იყო. დარჩენილი წილი პროცენტულად გადანაწილებული იყო შემდეგ [პირებზე](#): დიმიტრი ვოლკოვიჩი (14.25%), ზურაბ გოგიშვილი (14.25%), ირაკლი ცილიკაშვილი (14.25%), ბონდო მძინარაშვილი (14.25%) და თეა ნადირაძე (14.25%).



უკა ოთარაშვილის საეტორო გადაცემა - ვიორგი ნატროშვილი



სტუდია NPB - ირმა ინაშვილთან ერთად (გადაცემა 2)

წინასაარჩევნო პერიოდებში „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი აქტიურად იყენებდნენ საკუთარი ტელევიზიის ეთერს პოლიტიკური ნარატივების გასავრცელებლად და ამომრჩეველთა მისამხრობად. საგულისხმოა, რომ ტელეკომპანია საინფორმაციო გადაცემების გაშუქების თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურდება სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში და დიდ ყურადღებას უთმობს როგორც პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური კანდიდატების გაშუქებას, ასევე, პარტიის დღის წესრიგისა და პროგრამის წარდგენას ამომრჩევლებისთვის.

2018 წელს, „ობიექტივი“ ეთერში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ [პოლიტიკური რეკლამის](#) არასაარჩევნო პერიოდში განთავსების გამო 3,132 ლარით [დააჯარიმა](#) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ. „ობიექტივის“ სარედაქციო პოლიტიკა ხასიათდება მკვეთრად ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ისლამოფობიური რიტორიკით. კომუნიკაციების კომისიამ 2020 წლის 9 იანვარს ტელეკომპანია გააფრთხილა რუსულენოვანი გადაცემების დასაშვები ხანგრძლივობის გადაჭარბებისა და სახელმწიფო ენაზე სუბტიტრების გარეშე განთავსების გამო და რუსულ ენაზე განთავსებული პროგრამების სამაუწყებლო ბადიდან დაუყოვნებლივ ამოღება [დაავალა](#).

„პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელს და თბილისის საკრებულოს VI მოწვევის [წევრს](#), ვაჟა ოთარაშვილს წლებია [საავტორო გადაცემა](#) „ლიტერატურა, ხელოვნება, სულიერება“ მიჰყავს „ობიექტივის“ ეთერში. 2021 წლის 14 აპრილიდან ირმა ინაშვილი ჟურნალისტურ საქმიანობას დაუბრუნდა და საავტორო გადაცემის [სტუდია N8](#) ტელეწამყვანად მოველინა საზოგადოებას „ობიექტივის“ ტელე-ეთერში.

„ალტ-ინფო“

მედია პლატფორმა „ალტ ინფო“ ბაზაზე დაფუძნდა პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც რეესტრმა 2021 წლის 7 დეკემბერს ოფიციალურად [დაარეგისტრირა](#). პარტიის თავმჯდომარეა ზურა მახარაძე, ხოლო გენერალური მდივანი - გიორგი ქარდავა. პოლიტიკური პარტიის პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში არიან: ირაკლი მარტინენკო, ირაკლი მორგოშია, გიორგი ქარდავა და ვასილ გვალია.



მოქალაქეთა პოლიტიკური
გაერთიანების რეგისტრაციის
მ ო ნ მ ო ბ ა



პარტიის სახელწოდება:	„კონსერვატიული მოძრაობა“
შემოკლებული სახელწოდება:	
საიდენტიფიკაციო ნომერი:	415030530
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	275; 07/12/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
რეგისტრაციის (ცვლილების რეგისტრაციის) აქტი/თარიღი/ნომერი:	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანვევები, NP21000039/0-1, 07/12/2021.
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ლარნაკას ქუჩა N3
ხელმძღვანელობა ან/და ნარმომადგენლობა:	თავმჯდომარე - ზურა მახარაძე ,სრული უფლებამოსილება გენერალური მდივანი - გიორგი ქარდავა ,შეზღუდული უფლებამოსილება

დოკუმენტის ნაშთი/ფაილის გადაღობვა შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge. სარეგისტრაციო მომსახურების მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან. სარეგისტრაციო მომსახურება იტვირთის ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405. კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405. საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09. თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge.



საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
Activate Wind

„ალტ ინფო“ ქართულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებული პროპაგანდისტული მედია პლატფორმაა, რომელსაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირები აქვს ორგანიზაციასთან

„ალტერნატივა საქართველოსთვის“. საჯარო რეესტრის მონაცემებით აღნიშნული ორგანიზაცია [დარეგისტრირდა](#) 2019 წლის 30 იანვარს და მისი გამგეობის წევრები „ალტ-ინფოს“ წამყვანები და დამფინანსებლები არიან: ზურა მახარაძე, კონსტანტინე მორგომია, შოთა მარტინენკო, ირაკლი ყიზილაშვილი და გიორგი ქარდავა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ორმაგ მოქალაქეობას ფლობს. „ალტ-ინფოსა“ და „ალტერნატივა საქართველოსთვის“ დამფუძნებელი კონსტანტინე მორგომია ასევე დაკავშირებული იყო კიდევ ერთ ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ პარტიასთან „საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან“, რომლის ეგიდითაც მცხეთაში მაჟორიტარობის კანდიდატად იყრიდა [ვენქს](#). საგულისხმოა, რომ „ალტ-ინფოსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ მსგავსი მედია რიტორიკა აქვთ და ხშირად უჭერენ მხარს ერთმანეთის პოზიციებს.

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19008311, 28/01/2019 17:37:48

სუბიექტი	
საფირმო სახელწოდება:	შპს ალტ ინფო
სამართლებრივი ფორმა:	შემღებელი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405313389
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/01/2019
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი VII , კორპუსი 7, ბინა 52
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	altinfocom@gmail.com
დამატებითი ინფორმაციის ნაშთი	დამატებითი ინფორმაციის ნაშთი

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19008331, 30/01/2019 19:33:33

სუბიექტი	
საფირმო სახელწოდება:	ალტერნატივა საქართველოსთვის
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405314146
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	30/01/2019
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, კვარტალი VII , კორპუსი 7, ბინა 52
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	altinfocom@gmail.com
დამატებითი ინფორმაციის ნაშთი	დამატებითი ინფორმაციის ნაშთი

საჯარო რეესტრში, შპს „ალტ-ინფო“ 2019 წლის 28 იანვარს [დარეგისტრირდა](#). დირექტორად და 50%-იანი წილის მფლობელად მითითებულია შოთა მარტინენკო, დანარჩენი [50%](#) კი გაფორმებულია ცილა მორგომიას სახელზე. საავტორო მაუწყებლობის [ლიცენზია](#) შპს „ალტ-ინფომ“ 2020 წლის 26 ნოემბერს მიიღო. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ამონაწერში ტელემაუწყებლობის [ენად](#) მითითებულია ქართული, რუსული და ინგლისური. საგულისხმოა, რომ „ალტ-ინფო“ ასევე ფლობს ვებ-საიტს, რომელიც 2017 წლის 11 ივნისიდან ფუნქციონირებს. 2021 წლის 11 ივლისს „ალტ-ინფოს“ ვებგვერდი მოქალაქე რომი შენგელიას მოთხოვნის საფუძველზე [გაითიშა](#), რომელმაც ჰოსტინგ კომპანიას „ალტ-ინფოს“ მიერ სიძულვილის ენის ტირაჟირებისა და აგრესიული რიტორიკის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. თუმცა „ალტ-ინფოს“ [ვებგვერდის](#) ფუნქციონირება ორი დღის შემდეგ, 13 ივლისს განახლდა, ახალი დომენით და რუსულ სერვერზე. [Whois Lookup](#)-ის მონაცემებით, ვებგვერდი ამჟამად რუსულ სერვერზეა განთავსებული. საიტის ტექნიკურ პერსონად მითითებულია ირაკლი ყიზილაშვილი, რომელიც აგრეთვე არის ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი ორგანიზაციის [„ალტერნატივა საქართველოსთვის“](#) გამგეობის წევრი.

რამდენჯერმე დაიბლოკა „ალტ-ინფოს“ ფეისბუქ გვერდიც. 2020 წლის ოქტომბერში ფეისბუქ სივრციდან სრულიად წაიშალა „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული არაავთენტური ჯგუფებისა და გვერდების ქსელი, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ სიძულვილის ენის ტირაჟირებისა და მედია კონტენტის გასავრცელებლად. აღნიშნული ფაქტის შემდეგ „ალტ-ინფოს“ გუნდი აქტიურად იყენებს [telegram-ს](#), [youtube-ს](#) და [viber-ს](#).

„ალტ-ინფოს“ მედია გუნდი საკუთარ თავს წარმოადგენს ალტერნატიულ საინფორმაციო წყაროდ, რომელიც წინააღმდეგობაშია „ლიბერალურ ცენზურასა“ და „დიქტატურასთან.“ რეალურად კი, მათი მედია კონტენტი ეფუძნება ერთი მხრივ, სიძულვილის ენის ტირაჟირებას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებას. „ალტ-ინფოს“ გადაცემებში

შესამჩნევია ანტილიბერალური განწყობების გაღვივების მცდელობებიც. კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „ალტ ინფო“ 5, 6, 7 და 12 ივლისს, სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ გადაცემებში „ალტ-ინტერვიუ“ და „ალტ-ანალიტიკა“ გამოყენებული უხამსობის შემცველი გზავნილების გამო [სამართალდარღვევად](#) ცნო, თუმცა არ დაუჯარიმებია.

ლიად პრორუსულმა, ჰომოფობიურმა და ქსენოფობიურმა „ალტ-ინფომ“ 2021 წლის 15 სექტემბერს დაიწყო ტელემაუწყებლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. კომუნიკაციების კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის წარმომადგენლის მათა ქადეიშვილის [განცხადებით](#), ავტორიზაციის მოდიფიცირების მოთხოვნით „ალტ-ინფომ“ მათ 6 სექტემბერს მიმართა.

„ალტ-ინფო“ პოზიციონირებს, როგორც ღიად პრორუსული მედია და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა. მათი რიტორიკა სრულიად ეყრდნობა და იზიარებს რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგიის [ალექსანდრე დუგინის](#) კონცეფციას.

„საქართველო და მსოფლიო“

„საქართველო და მსოფლიო“ გაზეთის სახით [2009 წლიდან](#) გამოჩნდა ქართულ მედია სივრცეში. ამავე წლიდან ფუნქციონირებს მისი ვებ-გვერდიც [Geworld.ge](#) (საქართველო და მსოფლიო), სადაც პრორუსულ გზავნილებთან ერთად, ქვეყნდება ჰომოფობიური და ქსენოფობიური მასალები. Geworld.ge-სა და „საქინფორმის“ გამომცემელი ა(ა)იპ „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელიც 2009 წელს დაარსდა. მის დაფუძნებას საჯაროდ მიესალმა იმ დროს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი.¹ აღნიშნული ვებ-გვერდის რუსეთთან სიახლოვეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრია მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი [ალექსანდრე ჭაჭია](#), რომელიც 2014 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ორდენით დააჯილდოვა რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი წვლილის გამო.

„საქართველო და მსოფლიოს“ რესპონდენტები ხშირად არიან ულტრამემარჯვენე რიტორიკით ცნობილი პოლიტიკოსები და ლიდერები: დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მჭავანაძე, სანდრო ბრეგაძე, ზვიად ტომარაძე და ა.შ. მათი ინტერვიუები ძირითადად გაჯერებულია ანტილიბერალური და ანტიდასავლური გზავნილებით. ზოგადად, „საქართველო და მსოფლიოს“ სარედაქციო პოლიტიკა ხასიათდება ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური დისკურსით. „საქართველო და მსოფლიო“ ონლაინ სივრცეში მაუწყებლობს, როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ოფიციალურ ვებგვერდზე რუბრიკაში „PDF ვერსიები“ ქრონოლოგიურად არის განთავსებული ბეჭდური გაზეთის ონლაინ ვერსიები.

„საქართველო და მსოფლიოს“ მედია კონტენტი ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა [მანიპულაციებისა](#) და [დეზინფორმაციების](#) გავრცელებას. აღნიშნული მეთოდებით მედია პლატფორმა ცდილობს დასავლური სამყაროს დემონიზაციას და საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებას უმცირესობების მიმართ.

¹ ნ.ძველიშვილი, თ.კუპრეიშვილი, (2015), „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“, გვ. 10-11, ხელმისაწვდომია : <https://cutt.ly/SUr27xR>



„საქინფორმი“

მკვეთრად პრორუსული სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა „საქინფორმის“ გუნდიც. მისი ხშირი სტუმრები არიან ულტრამემარჯვენე ლიდერები: სანდრო ბრეგაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ზვიად ტომარაძე და სხვა.


საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმი“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო სააგენტო იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სააგენტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურს დაექვემდებარა, 2004 წელს კი გაუქმდა.² 2010 წელს საინფორმაციო სააგენტო იგივე სახელწოდებით კვლავ განახლდა. გამოცემის მფლობელი და რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. ის ხშირად თავადვეა პრორუსული სტატიების ავტორი.

„საქინფორმის“ დომეინი, „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად აგრეთვე რეგისტრირებულია პრორუსული ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის ტარას გაგნიძის სახელზე. „საქინფორმის“ ვებგვერდი ორენოვანია (ქართული და რუსული). არნო ხიდირბეგიშვილის მოსაზრებები აქტიურად ქვეყნდება რუსულ საინფორმაციო სააგენტოზე www.iarex.ru, რომელიც საქინფორმის პარტნიორი პლატფორმაა. ამ უკანასკნელის რედაქტორი მოდესტ კოლეროვი 2002 წლიდან სააგენტო Regnum.ru-ს დამფუძნებელიცაა და ცნობილია, როგორც კრემლის პოლიტიკის მთავარი იდეოლოგი. ის პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული ესტონეთის და ლატვიის მიერ.

„საქინფორმი“ ხშირად ხვდება სხვადასხვა მედიამონიტორინგის ანგარიშებში, როგორც მედია პლატფორმა, რომელიც გამოირჩევა ჰომოფობიური, ანტიდასავლური, ქსენოფობიური და ანტიილიბერალური მედია კონტენტით. ანტიდასავლური განწყობების გარდა, გამოცემა გამოირჩევა თურქოფობიური, ქსენოფობიური, ანტიილიბერალური და ჰომოფობიური გზავნილებით. „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად, „საქინფორმის“ მასალები დეზინფორმაციული და

² ნ.ძველიშვილი, თ.კუპრეიშვილი, (2015), „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“, გვ. 10-11, ხელმისაწვდომია : <https://cutt.ly/SUr27xR>

მანიპულაციური მედია შინაარსის შემცველია.



„News Front“

2019 წლის ოქტომბერში ქართულ მედია სივრცეში გამოჩნდა ღიად კრემლისტური და პრორუსული მედია [News Front](#). საინფორმაციო სააგენტო 2014 წლის ნოემბერში, რუსულ ვებ-ჰოსტინგ სერვისზე reg.ru-ზეა დარეგისტრირებული, [IP მისამართად](#) კი მითითებულია ქალაქი როსტოვი. სააგენტოს სარედაქციო პოლიტიკა და შინაარსი კრემლის რიტორიკის იდენტურია. სააგენტო მასალებს ავრცელებს ინგლისურ, ბულგარულ, გერმანულ, ესპანურ, სერბულ, უნგრულ და ქართულ ენებზე. მედია პლატფორმას მოსკოვიდან მართავს [შოთა აფხაიძე](#), რომელიც [მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ ულტრამემარჯვენე ჯგუფთან](#) „ქართულ მარშთან“ და გამოირჩევა [პრორუსული რიტორიკით](#). News Front-ის საინფორმაციო მასალები აქტიურად ზიარდება ღიად პრორუსულ ვებ-პლატფორმებზე „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“ და „სტალინი,“ რაც ბადებს ეჭვს, რომ ეს გვერდები ერთი ჯგუფის მიერ იმართება.

„News Front“ კოორდინირებული არაავთენტური ფეისბუქ გვერდების მეშვეობით აქტიურად ავრცელებდა პრორუსულ და ანტიდასავლურ ნარატივებს. გარდა ამისა, გამოირჩეოდა ყალბი და დეზინფორმაციული მედია შინაარსის გავრცელებით. ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის დეზინფორმაციის [მონაცემთა ბაზაში](#) ამ დროისთვის News Front-ის სხვადასხვა პორტალებზე გამოქვეყნებული 200-ზე მეტი მასალაა ასახული. 2020 წლის აპრილში ფეისბუქის ადმინისტრაციამ [წაშალა](#) „ნიუს-ფრონტ საქართველოსთან“ დაკავშირებული არაავთენტური გვერდების ქსელი, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოების ფართო წრეებში აქტიურად ვრცელდებოდა ანტიდასავლური ნარატივები და სიძულვილის ენის შემცველი მანიპულაციური მედია კონტენტი. ამჟამად “New Front” ონლაინ მედია ფორმატში აქტიურად განაგრძობს დეზინფორმაციული, ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივების ტირაჟირებას.

„პოლიტიკანო“

პოლიტიკანო ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრთან დაკავშირებული მედია [პლატფორმაა](#), რომლის სარედაქციო პოლიტიკაც ხასიათდება პრორუსული და ანტიდასავლური განწყობებით. თავის მხრივ, პრიმაკოვის ცენტრი პირდაპირ კავშირშია ულტრამემარჯვენე ლიდერ [დიმიტრი ლორთქიფანიძესთან](#), რომელიც 2018 წლიდან იკავებს პრიმაკოვის ცენტრის ხელმძღვანელის [პოსტს](#). პრიმაკოვის ფონდი აქტიურად ცდილობს საქართველოში რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას და ამ მიზნით აფინანსებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსაც. თავის მხრივ, პრიმაკოვის ფონდს დაარსებას

საქართველოში ხელი შეუწყო [„გორჩაკუვის“ ფონდმა](#), რომელიც 2010 წელს რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ბრძანებით დაფუძნდა.

პოლიტიკანო ონლაინ სივრცეში პოზიციონირებს როგორც ანტიდასავლური პოლიტიკურ-ეკონომიკური დღის წესრიგის მქონე პორტალი. მისი სარედაქციო პოლიტიკისთვის დამახასიათებელია დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელება და ყალბი მედია შინაარსი, რომლის მთავარი მიზანიც მკითხველში საბჭოთა ნოსტალგიური განწყობების გაღვივებაა.